

რომელიც ყველას ანცვიფრებს და ყველას იზიდავს. ხან საიდუმლოა ამოუხსნელი, ხან გულღიაა ყველასთვის დასანახი.



რატომ უყვართ ქართველებს სამშობლო მიწა? და რატომ ითვლებიან ქართველები კარგ სოფლის მეურნე ხალხად?
რას ეფუძნება სამშობლოს სიყვარული და რა ასაზრდოებს მას?



აქ სიხარული და მწუხარება, ტკივილი და შვება ერთად არის, როგორც ყველგან, მაგრამ საქართველო მაინც სხვაგვარადაა. როგორც წმიდა გიორგისთან – ხორცი იგლიჯებოდა და სული შენდებოდა, სხეულს სტკიოდა და გულს უხაროდა. ჯალათნი უღონო სიცოფეში ვარდებოდნენ, ხოლო გულმართალნი ძლევისა გალობით მხიარულობდნენ და ღმერთს ადიდებდნენ. რადგან სიკვდილითა სიკვდილი იძლია. და ამ სიხარულს, განცდას, ტკივილს და სხვას ყველაფერს კრავს, აერთებს და ასაზრდოებს მახსოვრობის ღრმა ფესვი, ხანდაზმული, დიდი ასაკი ჩვენი მყოფობისა.

მაინც რა არის ჩვენთვის სამშობლო? მამული, მიწა, რწმენა, ვენახი, ღვინო? თუ ქონება, რომელსაც ჩვენ მოვიხმართ, ან მადლი, რომელსაც თაობებს გადავცემთ?

დაბადება:

პიროფლიანი ჭამდე პურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგანა ხარ აღებული, რადგან მტვერი ხარ და მტვრადვე მიიქცევი. თ. III. 19.

და იქმნა...

შექმნა ღმერთმა ყოველი ხილული და არა ხილული. შექმნა მამამ შვილი – ადამი. ხატად და მსგავსად მისსა. დაარიგა და მისცა წესი. და უფლება. და სული. გონება.

და იყო ღამე, იყო დილა – დღე უფლისა,

რომელ ჰქმნა, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა.

გამოიდევნა სამოთხით ადამ (და ევა). და იყო ტკივილი, მონატრება. 930 წელი იცოცხლა ადამმა დედამიწაზე. ტიროდა და გოდებდა სამოთხის დახშულ კართან იმედითა და მონატრებით. და ეს იმედი, მონატრება გაჰყვა თაობებს.

დაბადება:

უწოდა ადამმა თავის დედაკაცს ევა, რადგან იგი გახდა ყოველი ცოცხალის დედა. თ. III. 19.

ზეცა – წიაღნი მამულნი – ურჩობით და ამპარტავნებით დავკარგეთ და მის კვლავ მოსაპოვებლად, დასაბრუნებლად აღთქმა მოგვეცა და საშუალება: მიწაზე მორჩილებით შრომისას ორმაგი საზრდოს მოპოვების – ხორციელისა და სულიერის. რადგან მიწის ნაყოფი ღვთივკურთხეული, გვზრდის და სულის ნაყოფი მორჩილებით, მოთმინებით ზეცის მოლოდინს ამოკლებს, ამტკიცებს, იმედიანს ხდის. აკი ადამი მრავალი წელი სასოებით ტიროდა სამოთხის დახშულ კართან, რადგან შეიყვარა თავმდაბლობა და შემოქმედმა მისი ცოდვა დაფარა.

Gამოხდა ხანი. მიწამ ფერი იცვალა. სამახარობლო ზეთისხილის რტო მშვიდობისა, კიდობანში მოუტანა მტრედმა ნოეს და ერთგულების ნიშნად მადლობის მსხვერპლი შესწირა მან.

„...იყნოსა უფალმა კეთილსურნელება და თქვა უფალმა თავისთვის: ამიერიდან აღარ დავწყევლი მიწას ადამიანის გამო...“ **დაბადება.** თ. VIII. 21.

და დაიწყო მიწის მუშაკობა და დანერგა ვენახი მადლობის ნიშნად.

და იყო ღამე, იყო დილა – დღე უფლისა

„Mე ვარ ვენახი ჭეშმარიტი და თქვენ რტონი... – ამბობს უფალი – ვითარცა-იგი ნასხლევსა ვერ ხელ-ეწიფების ნაყოფისა გამოღებად თავით თვისით, უკეთუ არა ეგოს ვენახსა ზედა, ეგრეთვე არცა თქვენ...“ **იოვანე.** თ. XV. 1-5.

...სვით ღვინო ახალი. ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა... ამას ჰყოფდეთ მოსახსენებელად ჩემდა.

Uფლის სავენახედ იქცა ქვეყანა. სინდისიერ მუშაკად აღიზარდა ხალხი. მადლიერებაში განმტკიცდა. გარემოს სილამაზით ინუგეშა. თავმდაბალ შრომაში გამრავლდა.

ღვთის ერთგულებაზე მშვენიერი ხომ არაფერია. ამ ერთგულებისთვის ბევრი ვიშრომეთ, ვიომეთ, ვაშენეთ და ვეწამეთ. ვეწამეთ, მაგრამ ღვთის სიყვარულით ვიმარჯვებდით ყოველთვის. გვახსოვს, რომ აღთქმა მოგვეცა და უფალი ცისარტყელის სილამაზით გვახსენებს, სიოს ნაზ მობერვაში გვიცხადებს.

სამოთხიდან გამოდევნის შემდეგ პირველი მცნება – მიწის მუშაკობა – გზა-ბილიკია ზეცას დასაბრუნებლად. მიწის მეურნე ამუშავებს ნიადაგს და ახსოვს, რისგან არის აღებული. ესმის სიტყვა – მიწა ხარ და მიწად მიიქცევი. ენატრება მთქმელი და ზეცა – სახლი. ამიტომ ამ წუთი სოფელში თავის შრომას სასოებით ეწევა, გამოითხოვს მფარველობას, რომ მან, შემოქმედმან, აკურთხოს გვირგვინი წელიწდისა. ზომიერი ჰაერი, ქარი, წვიმა, და სხვა მრავალი შესაწევნელად მოსცეს ქვეყანას. მარტო მარჯვენას არ ეიმედება. მიწის მეურნე მადლიერია ყოველთვის. ვენახი მსხმო ზეცას მიბჯენილი კიბეა. ღვინით, „...ახალი ღვინით“, ზიარების სისხლით ცა და ქვეყანა გაერთიანდა. საკურნებლად სულისა და ხორცისა. მიწა ჩვენი სულიერი საზრდოს მომცემია, რადგან გვასწავლის მორჩილებას და მოთმინებას. წარმავალს გვანახებს, მარადისობაზე, სიკვდილზე გვაფიქრებს. ამიტომაც მიწა, სამშობლო, არა მხოლოდ იმიტომ გვიყვარს, რომ იქ წინაპრის ძვალია, ძარღვი და ხრტილია ჩანაცრული; ან მხოლოდ ნაყოფის მომცემია, საზრდოა ხორციელი. მიწა ზეცას გაბმული ხსოვნის ძაფია. ჩვენი დაცემის მწვავე ნერვია. ჩვენდამი მოცემული აღთქმის გასაღებია – თავმდაბალი მუშაკობაა. ვაზის ფესვია – უფლის სისხლია. ეს უფრო დიდია, მაღალია. ეს კიბეა ცად აღმყვანებელი. მიწა-სამშობლო თავის **უფლებაა ღმერთში.**

როგორც წმიდა გიორგისთან, დიოკლეტიანეს როცა უთხრეს დიდებულებმა: „დაბრუნდი, ტახტი ჩაიბარე და მართე იმპერია“, გამოიტანა მიწის ნაყოფი და თქვა: „ნახეთ, რამხელა კომბოსტო მოვიყვანე ჩემს ბოსტანში“. მიწაზე დარჩა. მიწას ვერ მოწყდა. არ ეყო ძალა. ენატრებოდა და ვერ მიხვდა, რა. დაღალა ზღვა სისხლმა და ამ მწველ ფიქრს მიწასთან გაექცა. ამუშავებდა მიწას, რადაც სულ მალე გადიქცეოდა. ჩასცქეროდა მიწას, და ზეცა ამოჰყურებდა. ხმა ესმოდა და არ კი ესმოდა. ენატრებოდა, მაგრამ სახელს ვერ არქმევდა – რა. იმას კი გრძნობდა – მიწასთან მშვიდად იყო. დაღლილმა მიწა ვერ გაცვალა. გრილი მიწა, კომბოსტოს მომცემი მიწა არ გაცვალა იმპერატორის ტახტზე. იმიტომ, რომ მხოლოდ ასე იცნობდა მას. მადლიერება არ იცოდა და გატყდა. მტვრად იქცა.

ნუ გეშინია, გიორგი, მე შენთანა ვარ...

მიწას ვტოვებთ, როცა ზეცა გვიხმობს. სამშობლოს მიწიერს ვტოვებთ ზეცას მიმავალნი. საგზლად ზიარების მადლი, სანთელი, საკმეველი მიგვიძღვის.
ზეცისა სიმშვენიერე განსაცვიფრებელია. ზეცისა სილამაზე ენით გამოუთქმელია – „არცა ყურს სმენია, არცა თვალს უხილავს“. გვწამს, რომ ასეა და ამით ვმაგრდებით იმ სილამაზისთვის. მიწაზე კიდევ ბევრს მოვითმენთ, რომ უფრო მეტი ბრწყინვალება ვიხილოთ.

სამშობლო მიწის სიყვარული ზეცის სიყვარულისა ანარეკლია. ეს გულის ძგერა წინდია ცად აღმყვანებელი. სამშობლო მიწა უფლის სავენახეა. სამშობლო მიწა ვენახია ახლად აყვავებული.

საქართველო ქვეყნად დანერგილი სავენახისა
მიწის მუშაკია – გეორგიაა

მიწის მუშაკობა ხომ ზეცას დასაბრუნებელი მოკლე სავალია.

მიწის მუშაკობა უფლის მორჩილების ვიწრო გზაა.

მიწის მუშაკობა ზეცას მიმავალი ეკლიანი ბილიკია.

მიწის მუშაკობა სიტყვის მორჩილებით სიხარულის ნაზი მობერვაა.

მიწის მუშაკობა ხომ უფლის სავენახისა გონიერი მევენახეობაა.

Ალბათ გინახავთ ნამიან დილით, ნისლებშეპარული, ხარდანზე ახვეული, ფერდობს ჩამოყოლებული ვენახი ყვავილობისას. დაბარულ მიწას ოხშივრის ქოჩრით გული გადაუშლია. ზეცას მიყურადებით პირველი მზის სხივის გარინდული მოლოდინი. მშვენიერია. ზეცისა სავენახე მრავალგზის მშვენიერია.

Ვახტანგ VI სამართლის წიგნი წერს: „...ბოგანოა კაცი, რომელსაც ვენახი არა ჰქონდეს, რაგინდ სხვა მამული ბევრი ჰქონდეს“. ეს მაშინ უთქვამთ ძველებს, როცა ამის გახსენება აუცილებელი გამხდარა.

ვინც მიწას ყიდის, ის თავისუფლებას ყიდის.
ზეცას სცილდება.
ნასხლევს ემსგავსება.



უფლის სავენახისა მიწის მუშაკი
წმიდა გიორგია